ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
№22-270702

ქ. თბილისი 27 ივლისი 2022 წელი

ერთის მხრივ სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო (შემდგომში _ შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის ლევან გამყრელიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „კომფორტი“ (შემდგომში მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ნიკა ჩაფიძის სახით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის საფუძველზე, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში – ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ - (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „შემსყიდველი ორგანიზაცია“ - (შემდგომ „შემსყიდველი“) ორგანიზაცია (დაწესებულება), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.4. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5. ელექტრონული ხელმოწერა – ელექტრონულ მონაცემთა ერთობლიობა, რომელიც დაერთვის ან ლოგიკურად უკავშირდება ელექტრონულ დოკუმენტს და ელექტრონული დოკუმენტის ხელმოსაწერად გამოიყენება;

1.6. ელექტრონული შტამპი – ელექტრონულ მონაცემთა ერთობლიობა, რომელიც დაერთვის ან ლოგიკურად უკავშირდება ელექტრონულ დოკუმენტს და ელექტრონული დოკუმენტის მთლიანობისა და წარმომავლობის სისწორის დასადასტურებლად გამოიყენება;

1.7. „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1. შესყიდვის ობიექტია სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებით სააგენტოს ცენტრალური ოფისის მე-4 სართულზე ჰორიზონტალური ფარდა-ჟალუზის მიწოდება/მონტაჟი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ზუსტი აღწერა, კლასიფიკატორის კოდი, რაოდენობა, ერთეულის ფასი და საერთო ღირებულება მოცემულია ფასების ცხრილში (დანართი N1), რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **625.5 (ექვსასოცდახუთი და ორმოცდაათი)** ლარს დღგ-ს ჩათვლით.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, დაკავშირებულს შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

Nika Chapichadze

Digitally signed by Nika Chapichadze
Date: 2022.07.28 09:25:17

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშფაქტურის საფუძველზე.
4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე მხარეთა მიერ ხელმოწერიდან და საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება - ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
5.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს საფინანსო და ადმინისტრაციული დეპარტამენტის საფინანსო და შესყიდვების სამმართველოს სამეურნეო სპეციალისტი ირაკლი მაღლაკელიძე.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება)

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს კონტროლი რათა შესყიდვის ობიექტი შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს.
6.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია დაესწროს კონტროლის პროცესს.
6.3. ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს, სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს საფინანსო და ადმინისტრაციული დეპარტამენტის საფინანსო და შესყიდვების სამმართველოს სამეურნეო სპეციალისტი ირაკლი მაღლაკელიძე.
6.4. იმ შემთხვევაში, თუ შემოწმებისას არ გამოვლინდა ნაკლი ან/და დეფექტი, შემსყიდველი ადგენს მიღება-ჩაბარების აქტს.

7. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი და ვადა

7.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. № 16, მე-4 სართული.
7.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 7 (შვიდი) სამუშაო დღის ვადაში.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდებისას განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.
8.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
8.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
8.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტი იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 6.2 პუნქტში.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით;
9.2. ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების 0.1 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;
9.3. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;

9.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ნაწილობრივი შესრულების ან არაჯეროვანი შესრულების მიზეზით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.
9.5. შემსყიდველი უფლებამოსილია ანგარიშსწორებისას მიმწოდებელს გამოუქვითოს პირგასამტეხლოს სახით მასზე დარიცხული თანხა.
9.6. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.
10.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
10.5. მხარე ვალდებულია 9.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.
10.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. ფორს-მაჟორი

11.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. შესყიდვის ობიექტის საგარანტიო პირობები და ვადები

12.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის მიწოდება იქნება დროული, ხარისხიანი და შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

12.2. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე შესყიდვის ობიექტის საგარანტიო ვადა შეადგენს 2 (ორი) წელს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან.
12.3. საგარანტიო პერიოდის განმავლობაში ექსპლუატაციისას, ექსპლუატაციის ნორმების დაცვის პირობებში, დეფექტების გამოვლენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია, შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის განმავლობაში განახორციელოს წუნდებული შესყიდვის ობიექტის გამოსწორება შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

13. შეტყობინების განხორციელება

13.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.
13.2. ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მხარეთა უფლებამოსილი პირები არიან: შემსყიდველის მხრიდან - ლაშა პაპელიშვილი (ტელ.: 599 88-88-96, ელ. ფოსტა: lpapelishvili@lta.gov.ge), თეონა ჯალაბაძე (ტელ.: 555 10-09-60, TJalabadze@lta.gov.ge; მიმწოდებლის მხრიდან - ნიკა ჩაფიძე (ტელ. 551 53 53 05:, ელ. ფოსტა: komportiltd@gmail.com).
13.3. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.
13.4. მიმწოდებელი ვალდებულია, წინამდებარე მუხლში მითითებული მონაცემების ცვლილების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს შემსყიდველს. წინააღმდეგ შემთხვევაში, გაგზავნილი ინფორმაცია ჩაითვლება სათანადო წესით მიწოდებულად.

14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

14.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

15. დამატებითი პირობები

15.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და დამოწმებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან/და ელექტრონული შტამპით.
15.2. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2022 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

17. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:
სსიპ „სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო“
მის: ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №16
საიდ. კოდი: 205297935
ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
მიმღების ანგარიში №707217057

დირექტორი
ლევან გამყრელიძე

Levan Gamkrelidze 01008013377
Digitally signed by Levan Gamkrelidze
Date: 2022.07.27 15:57:03

მიმწოდებელი:
შპს „კომფორტი“
მის: ქ. თბილისი, მ.გორკის ქ. N 22
საიდ. კოდი: 404515315
სს საქართველოს ბანკი
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა GE05BG0000000670449200

დირექტორი
ნიკა ჩაფიჩაძე

დანართი N1

ფასების ცხრილი

№	CPV კოდი	დასახელება	ფერი	რ-ბა (ცალი)	ფართობი (კვ.მ) სულ	თანხა დღგ-ს ჩათვლით
1	39515430	ჰორიზონტალური ფარდა-ჟალუზი ტროსით	თეთრი	13.9	45	625.5
ჯამი						**625.5**